# მედიის თავისუფლება
## საქართველოში

2021-2022

# მედიის თავისუფლება საქართველოში

(2021 წელსა და 2022 წლის იანვარი-მაისის პერიოდში GDI-ს წარმოებული საქმეების ანალიზი)

**ავტორები:** შოთა ქობალია, ეკატერინე სუბელიანი

**რედაქტორები:** მარი კაპანაძე, ედუარდ მარიკაშვილი

**ენობრივი რედაქტორი:** მედეა იმერლიშვილი

© საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

ანგარიში მომზადებულია „ევროპული წვლილი დემოკრატიისთვის“ (EED) მხარდაჭერით, პროექტის, „მედიის თავისუფლების დაცვა კანონმდებლობაში, ადმინისტრაციულ წარმოებასა და სასამართლო პრაქტიკაში რეგულაციების გაუმჯობესების გზით“, ფარგლებში. პუბლიკაციის შინაარსი, შესაძლოა, არ ასახავდეს EED-ს ოფიციალურ პოზიციას. მასში გამოთქმულ მოსაზრებებსა და ინფორმაციაზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

# სარჩევი


შესავალი და ძირითადი მიგნებები . . . . . 4

1. ზოგადი მედიაგარემო საქართველოში . . . . . 6

2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისის საქმიანობა მაუწყებლებთან მიმართებაში . . . . . 8

*2.1 პოლიტიკური ჰეკლამის ცნება და მაუწყებელთა დაჯარიმება „პოლიტიკური ჰეკლამების“ განთავსებისათვის . . . . . 9*

*2.2 არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მქონე აუდიო-ვიზუალურ მასალაზე ზედამხედველობის უფლებამოსილება. . . . . 11*

*2.3 კომისიის მიერ ომის დანაშაულის დადებითად შეფასების/ჰიმინალის გაიდეალების ფაქტზე დისკრეციული უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელება . . . . . 12*

*2.4 უხამსობის ჰეგულირება. . . . . 13*

3. ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული თავდასხმები და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები. . . . . 15

*3.1. ფიზიკური თავდასხმის ფაქტები ჟურნალისტებზე . . . . . 15*

*3.2. სავარაუდო, მოსაზრებებისა და პოზიციის გამო ჟურნალისტთა დევნა საზოგადოებრივ მაუწყებელზე . . . . . 18*

4. ჟურნალისტთა პროფესიული და პირადი ცხოვრების ხელყოფა - სავარაუდო უკანონო მიყურადებები . . . . . 19

5. ცილისწამების საფუძვლით სასამართლოში დაწყებული დავები . . . . . 20

*5.1 გრიგოლ ღიღუაშვილის სარჩელი მედიების წინააღმდეგ . . . . . 21*

*5.2 ნინო წიღოსანის სარჩელი შოთა ღიღმელაშვილის წინააღმდეგ. . . . . 22*

*5.3 შსს-ს წარმომადგენლების სარჩელები მედიების წინააღმდეგ . . . . . 23*

6. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილების ფარგლები. . . . . 24

*6.1. არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის მოტივით ამოქმედებული ცვლილებები. . . . . 24*

*6.2. ნეგატიური დამოკიდებულების ამსახველი წინასაარჩევნო ჰეკლამის გავრცელების აკრძალვა. . . . . 25*

7. მართლმსაჯულება - მედიამენეჯერების დევნის ინსტრუმენტი. . . . . 26

დასკვნა . . . . . 29

## შესავალი და ძირითადი მიგნებები

გამოხატვის თავისუფლების დაცვა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი სტანდარტების დახვეწის ხელშეწყობა GDI-ს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, მედიის თავისუფლებას, ჟურნალისტთა უფლებრივ მდგომარეობასა და მათ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ გარანტიებს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში, ბოლო წლებში მედიის თავისუფლების მნიშვნელოვან გაუარესებაზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მიუთითებს. დასკვნები, საქართველოში მედიაგარემოს გაუარესების შესახებ, თანხვედრაშია GDI-ს მიგნებებთან, რომლებიც სამართლებრივი და პოლიტიკური პროცესების მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა. მედიის თავისუფლების შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებები/ინიციატივები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებათა თვითნებური გაფართოება და უკანონო გადაწყვეტილებები, სასამართლო ხელისუფლების მიერ მედიის წარმომადგენელთა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარანტიების შესუსტება, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების მქონე პირთა მიერ ჟურნალისტების მიმართ გამოთქმული სიძულვილით სავსე და ნეგატიური პოზიციები, ულტრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურება და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ღია აგრესია, რასაც სახელმწიფო სათანადო პრევენციული და რეპრესიული ღონისძიებებით არ პასუხობს, ის საკითხებია, რაც საქართველოში მნიშვნელოვნად აუარესებს მედიის თავისუფლების ხარისხს.

არსებულმა ვითარებამ, სამოქალაქო სექტორის მხრიდან სისტემური რეაგირების საჭიროება წარმოშვა. სწორედ ამ მიზნით, GDI-მ ფონდის, „ევროპული წვლილი დემოკრატიისათვის“ (EED) მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „მედიის თავისუფლების დაცვა კანონმდებლობაში, ადმინისტრაციულ წარმოებასა და სასამართლო პრაქტიკაში, რეგულაციების გაუმჯობესების გზით“.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია 2021-2022 წლებში (2022 წლის ივნისამდე პერიოდი) საქართველოში მედიაგარემოს გაუმჯობესების მიზნით GDI-ს მიერ განხორციელებული პროექტის შედეგები, მიგნებები და მიმდინარე გამოწვევები. პროექტის ფარგლებში, GDI-მ შეისწავლა საკანონმდებლო ინიციატივები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა და სასამართლო გადაწყვეტილებები, სამართლებრივი დახმარება გაუწია მედიაორგანიზაციებს და ჟურნალისტებს, აგრეთვე, ანალიტიკური სამართლებრივი დოკუმენტების მეშვეობით სისტემურად აანალიზებდა ნორმატიულ ბაზას, რომელიც გავლენას ახდენს მედიაგარემოზე.

საანგარიშო პერიოდის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვის მოტივით, ზღუდავს მხატვრული, ისტორიული, შემეცნებითი ღირებულების მქონე პროგრამების განთავსებას და ამ საფუძვლით მაუწყებლებს აკისრებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას;*
- *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია თვითნებურად განმარტავს „პოლიტიკური რეკლამის“ ცნებას და არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსების ცხადი აკრძალვის არარსებობის პირობებში, ძირითადად კრიტიკულ მაუწყებლებს, მძიმე პასუხისმგებლობას აკისრებს;*
- *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ თვითნებურად მიითვისა უხამსობის რეგულირების მანდატი, რაც წარმოადგენს მაუწყებლების შინაარსობრივ რეგულირებას;*

- *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები, რიგ შემთხვევაში, არ აკმაყოფილებს დასაბუთებულობის გონივრულ სტანდარტებს, ხოლო ზოგჯერ, მანამდე მის მიერ დადგენილ პრაქტიკასაც ეწინააღმდეგება;*
- *კრიტიკული მედიის შესახებ ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები კვლავ გამოირჩევა აგრესიული, სიძულვილის შემცველი შინაარსით. მიგვაჩნია, რომ ასეთი განცხადებები ახალისებს ამავე მედიის წარმომადგენელთა მიმართ უარყოფით განწყობებს საზოგადოებაში, რაც შემდგომ ძალადობრივ ქმედებებშიც აირეკლება;*
- *კრიტიკულად გაიზარდა ჟურნალისტებზე, მედიის მენეჯერებსა და წარმომადგენლებზე დისკრიმინაციული/პროფესიული საქმიანობის მოტივით ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულები. ხოლო, მართლმსაჯულების ორგა-ნოების რეაგირება, უმეტეს შემთხვევაში, არაეფექტიანი ან არასათანადოა;*
- *გამოიკვეთა ჟურნალისტების კერძო კომუნიკაციების დიდი ალბათობით უკანონო ფარული მიყურადების შემთხვევები, რაც ჟურნალისტების პროფესიულ, და პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევაა, და საფრთხეს უქმნის ჟურნალისტების საქმიანობის თავისუფლად განხორციელებას, მედიის თავისუფლებასა და მისი ეფექტიანი საქმიანობის შესაძლებლობას;*
- *ახალი სახიფათო ტენდენციის ფარგლებში, ცილისწამების საფუძვლით სარჩელების შეტანით, ხელისუფლება ღიად ცდილობს სასამართლოს გამოყენებას კრიტიკული მოსაზრებების ჩასახშობად, ხოლო სასამართლო უსაფუძვლოდ აკმაყოფილებს მსგავს სარჩელებს და საფრთხეს უქმნის მედიის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.*
- *მმართველი პოლიტიკური ძალა პერიოდულად აჟღერებს და ახორციელებს ინიციატივებს/საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ამცირებს მედიის თავისუფლებით დაცულ უფლებრივ სფეროს.*

# 1. ზოგადი მედიაგარემო საქართველოში

მედიის თავისუფლების დაცვის ხარისხი სახელმწიფოს დემოკრატიული კურსისადმი ერთგულების ნათელი ინდიკატორია. თავისუფალი მედია აუცილებელი წინაპირობაა ღია, პლურალისტური და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, ურომლისოდაც ლიბერალურ-დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პროცესი ფასადურია. საზოგადოების მიმართ ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ხარისხი დამოკიდებულია კრიტიკული მედიის უფლებრივ გარანტიებზე და მის თავისუფალ არსებობაზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება". აღნიშნული კონსტიტუციური დებულება სახელმწიფოს აკისრებს, ერთი მხრივ, ნეგატიურ ვალდებულებას, გაუმართლებლად არ შეზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (მედიაორგანიზაციები), მეორე მხრივ კი, პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხეებისგან.

2021-2022 წლებში საქართველოს მედიაგარემო განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დადგა. მედიის თავისუფლების დაცვის ხარისხზე ნეგატიური ზეგავლენა იქონია როგორც საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ჯგუფების, ისე ხელისუფლების წარმომადგენელთა და უწყებათა ქმედებებმა/უმოქმედობამ და მათ მიერ გაკეთებულმა საჯარო განცხადებებმა.

მედიის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" R (RSF)-ს ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, პრესის თავისუფლების ხარისხი საქართველოში 2021-2022 წლებში უპრეცედენტოდ გაუარესდა - პრესის თავისუფლების ინდექსის მსოფლიო რეიტინგში საქართველომ მე-60 ადგილიდან 89-ე ადგილას გადა-ინაცვლა. ორგანიზაცია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „საქართველოსთვის 2021 წელი უპრეცედენტო იყო ჟურნალისტებზე ვერბალური და ფიზიკური თავდასხმის მასშტაბებით. აგრესორთა რიგში, მათ შორის, არიან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, განსაკუთრებით, საარჩევნო კამპანიის პერიოდში. ოფიციალური გამოძიება განიცდის გამჭვირვალობისა და ეფექტინობის დეფიციტს, რაც იმის დემონსტრაციაა, რომ ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში მხილებული პირები ხშირად არ ისჯებიან".

საქართველოს მედიაგარემოსთვის დამახასიათებელი ისეთი პრობლემები, როგორებიცაა პროფესიული ნიშნით ჟურნალისტების დევნა, საგამოძიებო უწყებების არაეფექტიანობა, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების მქონე პირთა მიერ მედიაორგანიზაციების წინააღმდეგ ვერბალური თავდასხმის ფაქტები, მოხსენიებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის და Human Rights Watch-ის 2022 წლის ანგარიშებშიც.

პრესის თავისუფლების საერთაშორისო ინდექსში საქართველოს რეიტინგის კოლოსალური კლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული აგრესიის და სახელმწიფოს არაეფექტიანი რეაგირების ფაქტებია. 2021 წლის 5 ივლისს  სასულიერო პირები, ულტრანაციონალისტური, პრორუსული, ჰომოფობიური და სიძულვილის ჯგუფების წევრები რამდენიმე საათის განმავლობაში ძალადობდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მოქალაქეებს, LGBTQI+ თემისა და სამოქალაქო აქტივისტებს და მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც ადგილზე იმყოფებოდნენ მოვლენების გასაშუქებლად. ისინი განზრახ თავს დაესხნენ, ფიზიკური დაზიანებები და

სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მედიის წარმომადგენლებს, დააზიანეს და დაამტვრიეს მათი ტექნიკა და ხელი შეუშალეს ჟურნალისტურ საქმიანობაში. შედეგად, დაშავდა მედიის სულ მცირე 53 წარმომადგენელი, ფიზიკური ძალადობიდან რამდენიმე დღეში, „ტვ პირველის" ოპერატორი, ლექსო ლაშქარავა, გარდაიცვალა.

როგორც დაშავებული ჟურნალისტების რაოდენობა, ისე ულტრანაციონალისტური ჯგუფების ძალადობრივი ქმედებების ინტენსივობა მოწმობს, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაცვის კონსტიტუციური გარანტიიდან მომდინარე პოზიტიური ვალდებულება და დაუშვა ჟურნალისტური/პროფესიული საქმიანობის ნიშნით პირთა ღირსების შელახვა.

2021 წლის 5 ივლისის მოვლენებს ოპერატიულად გამოეხმაურა RSF-ც. მისი განცხადებით, „53 ჟურნალისტზე თავდასხმა პრესის თავისუფლების რეალიზების კონტექსტში მნიშვნელოვანი უკუსვლაა საქართველოსთვის". „RSF გმობს საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოვლენილ დანაშაულებრივ პასიურობას და მოითხოვს ყველა არალეგალური ქმედების დასჯას".

მედიის თავისუფლების კონტექსტში ქვეყნაში შექმნილი დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაამძაფრა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ჟურნალისტების წინააღმდეგ გაკეთებულმა ხისტმა განცხადებებმა და ქმედებებმა. კერძოდ, 2021 წლის 14 ივლისს საქართველოს კულტურის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა თეა წულუკიანმა განაცხადა ე.წ. „ფეიკნიუსის" შემზღუდველი კანონის მიღების საჭიროების თაობაზე: „საზოგადოებაში გაჯდა აზრი", რომ გამოხატვის თავისუფლება არის „რაღაც ხელშეუხებელი ღვთაება, რომელსაც ვერ შეეხები. არადა, გამოხატვის თავისუფლება ერთადერთი მუხლია ევროპულ კონვენციაში, რომელშიც პირდაპირ წერია, რომ მას ახლავს ძალიან მნიშვნელოვანი ვალდებულებები". მისივე თქმით, „მედიასაშუალებების ერთ-ერთი ვალდებულებაა, რომ „სწორი და გადამოწმებული ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არ არის გამოხატვის თავისუფლება".

თეა წულუკიანის მოწოდება მედიასაშუალებების გამოხატვის თავისუფლებისთვის „სისწორის" ფილტრის დაწესების თაობაზე, გარდა იმისა, რომ ქვეყანაში შექმნილი კონტექსტის გათვალისწინებით, აღრმავებს საზოგადოების პოლარიზაციას, შეიცავს მედიათა გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შინაარსობრივი რეგულირების რისკებს. მედიაორგანიზაცია მოქმედებს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის ფარგლებში და, ამასთანავე, წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას, იდეათა ბაზრის ფორმირებისთვის. იდეათა ბაზრის წარმოება ერთმანეთისგან განსხვავებული აზრების თავმოყრის პირობებში ადგენს სწორ ინფორმაციას, ხოლო მცდარს უკუაგდებს. ამდენად, დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოებისთვის აქსიომაა ის ფაქტი, რომ „სწორი" ინფორმაცია თავისთავადი მოცემულობა არ არის, როგორც წესი, იგი საზოგადოებრივი დისკუსიის პარარელურად იქმნება. მედიასაშუალების პირველადი ფუნქცია კი, საზოგადოებრივი დისკუსიის ხელშეწყობაა. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მცდარი ინფორმაციის განზრახ გავრცელება, რასაც შეიძლება პირთა უფლებრივი დაზიანება მოჰყვეს (ცილისწამება), კანონმდებლობით აკრძალული ქმედებაა, ნებისმიერი მცდელობა, მედიაორგანიზაციის მიერ გაშუქებული ინფორმაციისთვის „სისწორის" ფილტრის დაწესების შესახებ, ცენზურის მომეტებულ რისკებს შეიცავს.

მედიაორგანიზაციების დისკრედიტაციის აშკარა ნიშნებს შეიცავდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება: „ტელეარხების უმეტესობას საზოგადოების „დაზომბება" სურს", მათ სურთ „მთელი საზოგადოება დააზომბირონ ამ ხელოვნურად შექმნილი კრიზისებით, საბოტაჟით, შანტაჟით და შეთქმულებების დადგმით საკუთარი ხალხის და საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ".

2021 წლის 29 სექტემბერს, თბილისის მერმა კახა კალაძემ ხელისუფლების მიმართ

კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენელ ჟურნალისტებს შემდეგი ფრაზებით მიმართა: „თქვენზე დიდი რადიკალები, თქვენზე უბინძურესი ადამიანები ამ ქვეყანაში არ არსებობს“, „თქვენ ხართ თავი და თავი სიძულვილის, ბოროტების, თუ რაიმე ცუდი შეიძლება გაიფიქროს ადამიანმა“, „ეს არის თქვენი სატელევიზიო ეთერები [და] ყველა სიბინძურე, რაც შეიძლება მოიგონოს ადამიანმა“.

GDI ეჭვქვეშ არ აყენებს ხელისუფლების წარმომადგენელთა უფლებას, გამოთქვან საკუთარი აზრი, მათ შორის, გამოთქვან უკიდურესად კრიტიკული მოსაზრებები მედიაორგანიზაციების მისამართით, თუმცა, აგრესიული შინაარსი, რომელიც მას თან ახლავს, ამ ყველაფერს სძენს ნეგატიურ სოციალურ და პოლიტიკურ ეფექტს, და იწვევს საზოგადოების პოლარიზაციას, რადიკალური ჯგუფების ფორმირებას და ახალისებს ჟურნალისტთა დევნას პროფესიული ნიშნით. იმ პირობებში, როდესაც უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები საკუთარ თავს აძლევენ ჟურნალისტების ღია დისკრედიტაციის უფლებას, მედიაორგანიზაციებს უწევთ იმოქმედონ პოლიტიკური ზეწოლის პირობებში და გაუმკლავდნენ საზოგადოების რადიკალური ჯგუფებიდან მომდინარე პირდაპირ აგრესიას.

## 2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისის საქმიანობა მაუწყებლებთან მიმართებაში

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არის კონსტიტუციური ორგანო, რომლის ფუნქციაა დაიცვას მედიაპლურალიზმი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლება, თავიდან აიცილოს მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაცია, აგრეთვე, მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში დაიცვას მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებები. მართალია, საქართველოს კომუნიკაციების კომისია უნდა იყოს მაუწყებლობის სფეროში კერძო თუ საჯარო ინტერესების რეალიზების გარანტი, თუმცა, მისი მხრიდან საჯარო უფლებამოსილებების განხორციელება, ხშირად შეიცავს მაუწყებლობის ავტონომიურ სფეროებში თვითნებური და გაუმართლებელი ჩარევის რისკებს, რაც არაერთხელ მოხდა საქართველოს ნორმატიულ სივრცეში და ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მწვავე კრიტიკაც დაიმსახურა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები და ჩამოყალიბებული პრაქტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ მედიის თავისუფლებაზე. ამდენად, კომისია ვალდებულია, შექმნას ერთგვაროვანი და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკა, მაუწყებლების წინააღმდეგ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხები შეაფასოს ინდივიდუალურად, და დაასაბუთოს მის მიერ მიღებული თითოეული გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისიის მიერ შემუშავებული პრაქტიკა არსებითად დააზიანებს მაუწყებელთა უფლებებს.

ამდენად, ვინაიდან კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აქვს უფლებამოსილება, მიიღოს მედიის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, GDI აქტიურად ადევნებს თვალს მის საქმიანობას და პროაქტიულად აკეთებს შესაბამის განცხადებებს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2022 წლის 12 აპრილის ანგარიშში ცალსახად არის წარმოჩენილი კომისიის პოლიტიკურ გავლენებზე დაქვემდებარების პრობლემა: „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია [2021 წელს] მმართველი პარტიის გავლენების ქვეშ იყო“ - აღნიშნულია ანგარიშში.

სამართლებრივ ნორმათა ინტერპრეტაციის მეთოდოლოგია ნორმათშემფარდებელს მიხედულების გარკვეულ ზღვარს ანიჭებს, თუმცა დისკრეცია უნდა განხორციელდეს არა სამართლის სუბიექტთა (ამ შემთხვევაში მაუწყებელთა) დისციპლინირების, არამედ კონსტიტუციითა და კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სულისკვეთებით. GDI-ს მიერ წინამდებარე ანგარიშში განხილული საკითხები გამოკვეთს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის დამახასიათებელ ნეგატიურ ტენდენციას, არასრულყოფილი, რიგ შემთხვევაში, არასწორი სამართლებრივი არგუმენტაციის საფუძველზე აწარმოოს ადმინისტრაციული წარმოება მაუწყებელთა წინააღმდეგ და ცნოს ისინი სამართალდამრღვევად.

## 2.1 პოლიტიკური რეკლამის ცნება და მაუწყებელთა დაჯარიმება „პოლიტიკური რეკლამების“ განთავსებისათვის

2021-2022 წლებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მედიაორგანიზაციების რეგულირების კონტექსტში, საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს მაუწყებელთა მიერ გავრცელებული აუდიო-ვიზუალური მასალის „პოლიტიკურ რეკლამად“ კვალიფიკაციის ფარგლებში გამოვლენილი ტენდენციები. ამ თვალსაზრისით, GDI-მ ორი ძირითადი პრობლემა გამოავლინა:

1. კომისიის მიერ „პოლიტიკური რეკლამის“ საკანონმდებლო ცნების შემადგენელ ელემენტებს შორის მიმართების თვითნებურად განსაზღვრა, რაც არასწორი კვალიფიკაციის წინაპირობაა;

2. პირდაპირი საკანონმდებლო აკრძალვის არარსებობის პირობებში არაწინასაარჩევნო პერიოდში განთავსებული მასალის პოლიტიკურ რეკლამად კვალიფიკაცია და მაუწყებელთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება.

2021 წლის 27 ოქტომბერს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, შპს „მთავარი არხის“ წინააღმდეგ, წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის მოტივით სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა. სადავოდ ქცეული ვიდეორგოლი ეხება „მთავარი არხის“ მიერ მომზადებულ მედიაპროდუქტებს ჰეშთეგით #თავისუფლებამიშას, #თავისუფლებისათვის, რომლის ფარგლებშიც ჩანს მიხეილ სააკაშვილი, ასევე, ვარდების რევოლუციისა და მისი პრეზიდენტობის ამსახველი კადრები. ერთ-ერთი ვიდეოს ბოლოს კი, ტელეკომპანია მაყურებლებს მოუწოდებს, შეუერთდნენ 14 ოქტომბერს დაგეგმილ აქციას.

კომისიამ „პოლიტიკური რეკლამის“ ცნება იმგვარად განმარტა, რომ მიხეილ სააკაშვილის გარშემო წარმოებული და მედიაპროდუქტის სახით გავრცელებული ნებისმიერი სოციალური თუ პოლიტიკური კამპანია წინასაარჩევნო რეკლამად განისაზღვრებოდა. იმ პირობებში, როდესაც მიხეილ სააკაშვილს არანაირი სამართლებრივი კავშირი არ ჰქონია არცერთ საარჩევნო სუბიექტთან, ხოლო „პოლიტიკური რეკლამის“ ცნების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია, რომ არსებობდეს მკაფიო მიმართება მედიაპროდუქტსა და კონკრეტულ საარჩევნო სუბიექტს შორის, სახეზეა „პოლიტიკური რეკლამის“ ცნების თვითნებურად გაფართოება. თუკი დავუშვებთ, რომ კომისიამ ჯეროვნად განმარტა „პოლიტიკური რეკლამის“ ცნება, მედიასაშუალებების გზით გავრცელებული ინფორმაცია, ნებისმიერი იმ პირის ან ობიექტის გარშემო, რომელიც სოციალურად აფილირდება ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტთან, უნდა მიიჩნეოდეს წინასაარჩევნო რეკლამად. მსგავსი მიდგომა გაუმართლებლად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას და კომისიის მიერ საკუთარი უფლებამოსილების თვითნებურად განხორციელების მაღალ რისკებს შეიცავს.

GDI-ს წარმომადგენელმა კომისიის სხდომაზე წარმოადგინა დასაბუთებული სამართლებრივი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ უნდა ეცნოთ მაუწყებელი სამართალდამრღვევად, თუმცა კომისიამ, ყოველგვარი საფუძვლიანი ახსნა-განმარტების

გარეშე არ გაიზიარა ეს მოსაზრება. ამ საქმესთან დაკავშირებით, GDI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრებით მიმართა, სადაც დოკუმენტური სახით იყო წარმოდგენილი სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები, რომლის ფარგლებშიც ვამტკიცებდით, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, სადავოდ ქცეული ვიდეორგოლების შესაფასებლად და სამართალდარღვევის ოქმის გასაფორმებლად, საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფილი ანალიზი და უფრო მეტად დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენა მართებდა. ამასთანავე, კომისიას არც იმაზე უმსჯელია, თუ რატომ არ წარმოადგენდა ვიდეორგოლი მაუწყებლის მიერ სარედაქციო თავისუფლების ფარგლებში გავრცელებულ „სოციალურ რეკლამას“, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევას. დადებით კონტექსტში უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა GDI-ს მიერ „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრებაში წარმოდგენილი მოსაზრება და უარყო სადავოდ გამხდარ ვიდეორგოლებში „პოლიტიკური რეკლამის“ ცნების შემადგენელი ელემენტების არსებობა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და განსხვავებული გადაწყვეტილების გამოსატანად, იგი ხელახლა განსახილველად დაუბრუნა საქალაქო სასამართლოს. ხელახლა განხილვისას, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოთხოვნა და მაუწყებელს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა.

რაც შეეხება არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე რეაგირებას, უნდა აღინიშნოს, რომ 2019-2022 წლებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 7 მაუწყებელი ცნო სამართალდამრღვევად. მათ შორის, 2021 წლის 25 ნოემბერს, შპს „მთავარი არხი“ სოლიდური თანხით - 111,903.43 ლარით - დააჯარიმა.

2021 წლის 25 ნოემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შპს „მთავარი არხის“ მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება ტელეკომპანიის ეთერში განთავსებულ სამ ვიდეორგოლს ეხებოდა. ორი ვიდეორგოლი დაკავშირებულია პატიმრობაში მყოფ მიხეილ სააკაშვილთან, რომელშიც ნაჩვენებია სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობის მქონე პირების განცხადებები/ფოტოები, ბოლოს კი ისმის სიტყვა „კლავს“ და მოწოდებები: „გაათავისუფლე მიხეილ სააკაშვილი“, „უთხარი მკვლელებს არა“, „#თავისუფლებამიშას“. „მთავარმა არხმა“ ეთერში ასევე განათავსა „სირცხვილიას“მომზადებული ვიდეორგოლი, რომელშიც წარმოდგენილია „ქართული ოცნების“ პარტიის წევრების ფოტოები, ხოლო კლიპის დასასრულს, მათი ფოტოები რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის სახის კონტურში ერთიანდება და ეწერება „სირცხვილია“.[1]

კომისიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევისთვის შპს „მთავარი არხის“ 111,903.43 ლარით დაჯარიმების საკითხთან დაკავშირებით, GDI-მ წარადგინა „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კანონმდებლობა, არც პირდაპირი, მკაფიო მითითებით და არც ირიბად არ კრძალავს პოლიტიკური რეკლამის განთავსებას არაწინასაარჩევნო პერიოდში. მეტიც, კანონმდებლობის მიხედვით, პოლიტიკური რეკლამის ცნება დაიყვანება „წინასარჩევნო/წინასარეფერენდუმო“ პერიოდზე, ხოლო ამ პერიოდს მიღმა, არცერთი ვიდეორგოლის პოლიტიკურ რეკლამად დაკვალიფიცირების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. სადავოდ ქცეული ვიდეორგოლები კი, მაუწყებლის ეთერში განთავსებული იყო არაწინასაარჩევნო პერიოდში. ამასთანავე, კომისიამ წარმოდგენილი ვიდეორგოლები „პოლიტიკურ რეკლამად“ ამ ცნების ძირითადი ელემენტების უგულებელყოფითა და საერთაშორისო პრაქტიკის თვითნებური განმარტების საფუძველზე დააკვალიფიცირა.

„პოლიტიკური რეკლამის“ ცნების გამოყენების გაუმართლებელ პრაქტიკასთან მიმართებით

აღსანიშნავია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ სამართალდამრღვევად ცნობის საკითხი. მიუხედავად კანონმდებლობაში არსებული ცალსახა ჩანაწერისა, რომ „პოლიტიკურ რეკლამაზე“ არ ვრცელდება „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი, კომისიამ შპს „ტელეკომპანია კავკასია“ სამართალდამრღვევად ცნო ისეთი პოლიტიკური რეკლამის ტრანსლირებისთვის, რომელიც, მისი განმარტებით, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონს ეწინააღმდეგებოდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ძალაში დატოვა კომისიის გადაწყვეტილება. ამჟამად, შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ სააპელაციო სასამართლოში წარმოადგენს GDI.

GDI-ის მიაჩნია, რომ, როგორც კომისია, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, გასცდა ნორმათშემფარდებლის ფუნქციას და ნორმათშემოქმედის როლი მოირგო. კანონმდებლის ნების მსგავსი ფორმით უგულებელყოფა და რეპრესიული გადაწყვეტილების მიღება, საშიში ტენდენციაა მედიაგარემოსთვის და, ზოგადად, გამოხატვის თავისუფლებით დაცული უფლებრივი სფეროსთვის.

## 2.2 არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მქონე აუდიო-ვიზუალურ მასალაზე ზედამხედველობის უფლებამოსილება

2020 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მაუწყებელს დაეკისრა ვალდებულება გამოიყენოს სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის კრიტერიუმები ამ პროგრამების კატეგორიების დასადგენად, და განათავსოს ეს პროგრამები სამაუწყებლო ბადეში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების დაცვით. ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავრცელებაზე ზედამხედველობის უფლებამოსილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გადაეცა.

საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებიდან დღემდე, კომისიამ არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის საფუძვლით განიხილა 8 საქმე ისეთი საფუძვლებით, როგორიცაა იმგვარი პროგრამის ეთერში განთავსება, რომელიც შეიცავს: 1) ძალადობის ამსახველ სცენებს ახლო ხედით; 2) ისეთ ძალადობრივ ან სახიფათო ქმედებას, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია; 3) სქესობრივი აქტის გრაფიკულ გამოსახულებას; 4) სქესობრივი აქტის სიტყვიერ აღწერას; 5) შეურაცხმყოფელ ლექსიკას; 6) ინფორმაციას, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას დადებითად აფასებს ან კრიმინალს აიდეალებს. სხვა საფუძვლებთან მიმართებით კომისიას ჯერჯერობით გადაწყვეტილებები არ მიუღია და, შესაბამისად, ჯერჯერობით არც რაიმე სახის სტანდარტი არსებობს.

კომისიის მიერ, უკვე განხილულ საფუძვლებთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზიც ცხადყოფს, რომ მარეგულირებელს უჭირს კონკრეტული სტანდარტების ჩამოყალიბება კანონით გათვალისწინებულ ზოგად და, რიგ შემთხვევაში, ბუნდოვან ცნებებთან დაკავშირებით. ამიტომაც, იგი, როგორც წესი, აფასებს კონკრეტულ სადავო სატელევიზიო პროდუქციას და ძირეული დასაბუთების, განმარტების გარეშე წყვეტს, ექცევა თუ არა სადავო კონტენტი კანონით განსაზღვრულ დეფინიციებში. მაგალითად, გადაწყვეტილებებში ყურადღება არ არის გამახვილებული და არ არის განმარტებული, თუ რატომ მიეკუთვნებოდა ესა თუ ის სატელევიზიო პროდუქცია კანონით აკრძალულ ცნებებს. არ არის შეფასებული, ზოგადად, რა არის, მაგალითად, „სექსუალური სცენის გრაფიკული გამოსახულება“ ან „ძალადობის ამსახველი სცენა ახლო ხედით“, ან „ისეთი ძალადობრივი ან სახიფათო ქმედება, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია“. კომისია სათანადოდ არც იმას ასაბუთებს, თუ რატომ არ არის კონკრეტული მასალის აკრძალულ დროს გაშვება გამართლებული კანონით განსაზღვრული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას. რიგ შემთხვევაში, კომისია კანონის ნორმებს განმარტავს ფართოდ, თუმცა გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული და ახსნილი, რა უდევს საფუძვლად ამგვარ

განმარტებას. კანონის განჭვრეტადობის პრობლემასთან ერთად, კომისიის ამგვარი ხარვეზიანი მიდგომა მაუწყებლობებისთვის ართულებს იმის ზუსტად გაგებას, თუ რა ტიპის პროდუქციის გაშვება იზღუდება კანონმდებლობით და წარმოშობს მსუსხავი ეფექტის საფრთხეს მათი გამოხატვის თავისუფლებისთვის.

ამასთანავე, კომისია მაუწყებლის ეთერში ტრანსლირებული გადაცემების შეფასებისას, მხედველობაში არ იღებს გამოხატვის თავისუფლების დაცვის ზოგად კონსტიტუციურ და კონვენციურ სტანდარტებს, არც იმას, გააჩნია თუ არა კონკრეტულ პროგრამას/ პროგრამის ნაწილს მხატვრული, შემეცნებითი, კულტურული თუ სხვა ღირებულება. ამაზე ნათლად მიუთითებს იმ პროგრამათა კატეგორია, რომელთა ტრანსლირებაც მაუწყებელთა პასუხისმგებლობის საფუძველი გახდა. მაგალითად: 1. მხატვრული ფილმი, „მამაცი გული“ კომისიის განმარტებით, შეიცავს ძალდობის, მკვლელობის, სექსუალური სიშიშვლის ამსახველ სცენებს“; 2. სერიალი „დაკარგულები“ - შეიცავს ძალადობისა და მკვლელობის ამსახველ სცენას; 3. სერიალი „კრიმინალური აზროვნება“ - შეიცავს ძალადობის, მკვლელობისა და წამების სცენებს.

დასახელებულ ფილმებს/სერიალებს აქვთ შემეცნებითი, მხატვრული, სახელოვნებო, ისტორიული ღირებულება, თუმცა კომისიამ ნორმათა ფართო, თვითნებური ინტერპრეტაციის საფუძველზე, ისინი არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენ პროგრამებად მიიჩნია.

GDI-მ დეტალურად შეისწავლა 8-ვე საქმე და საჯაროდ განათავსა ანალიტიკური დოკუმენტი არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის პრევენციის კონტექსტში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში, კომისიამ სწორად დააკვალიფიცირა გავრცელებული პროგრამა არასრუწლოვანზე მავნე ზეგავლენის მქონედ (მაგალითად, „ალტ-ინფოს“ ეთერში გავრცელებული განცხადებები, რომლებიც ამართლებდა ბავშვზე ძალადობას), თუმცა დასაბუთებულობისა და ზოგადი სტანდარტების ჩამოყალიბების ნაკლებობა კომისიის ყველა გადაწყვეტილებას გასდევს ფონად და მის მიერ განვითარებული პრაქტიკა მსუსხავი ეფექტის მატარებელია მედიების გამოხატვის თავისუფლებისთვის.

## 2.3 კომისიის მიერ ომის დანაშაულის დადებითად შეფასების/კრიმინალის გაიდეალების ფაქტზე დისკრეციული უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელება

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დაწყების პარალელურად, შპს „ალტ-ინფოს“ ეთერში გაკეთდა განცხადებები, რომლებიც მორალურად და პოლიტიკურად ამართლებდა/დადებითად აფასებდა რუსეთის მიერ უკრაინის სუვერენიტეტის ხელყოფასა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ ომის დანაშაულებს. საქართველოს კანონმდებლობითა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკით, პროგრამებს, რომლებიც დანაშაულებრივ ქმედებებს ამართლებს, დადებითად აფასებს, ან კრიმინალს აიდეალებს, არასრულწოვნებზე მავნე ზეგავლენის ეფექტი აქვს. მაუწყებელი ვალდებულია მსგავსი პროგრამები, სულ მცირე, დილის 6-დან ღამის 12 სთ-მდე მონაკვეთში არ განათავსოს. გავრცელების შემთხვევაში კი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებულია მაუწყებელს სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს.

GDI-ს თავმჯდომარემ, ედუარდ მარიკაშვილმა, საჩივრით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და გავრცელებული განცხადებების გამო შპს „ალტ-ინფოს“ სამართალდამრღვევად ცნობა მოითხოვა. სადავოდ ქცეული განცხადებები დადებითად აფასებდა/ამართლებდა დანაშაულებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 404-413-ე მუხლებით. სამართლებრივად

დაუსაბუთებელი მსჯელობის საფუძველზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ედუარდ მარიკაშვილის სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად. კომისიის შეფასებით, „ალტ-ინფოს“ განცხადებები დანაშაულის გამართლებაზე მეტია და ომის პროპაგანდას წარმოადგენს. ომის პროპაგანდის აკრძალვის საკითხზე კი, კანონდებლობის მიხედვით, არა კომისიას, არამედ თვითრეგულირების ფარგლებში, თავად მაუწყებელს, ამ შემთხვევაში, „ალტ-ინფოს“ უნდა ემსჯელა.

ამ საქმეზე კომისიის მიერ განვითარებული სამართლებრივი არგუმენტაცია ეწინააღმდეგება, როგორც კანონმდებლობის მოთხოვნებს, ისე დისკრეციული უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელების წესსა და კომისიის წინარე პრაქტიკას. კომისიას სადავოდ ქცეული თითოეული განცხადება ინდივიდუალურად უნდა შეეფასებინა. გარდა ამისა, კონკრეტული განცხადებების „ომის პროპაგანდად“ დაკვალიფიცირება არ გამორიცხავს იმავე ან სხვა განცხადებების კვალიფიკაციას დანაშაულის დადებითად შეფასებად/გამართლებად, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც კომისია ეთანხმება საჩივრის ავტორს, რომ სადავოდ ქცეული განცხადებები დადებითად აფასებს დანაშაულს. კომისიის გადაწყვეტილება უკვე გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სარჩელის ფარგლებში, ედუარდ მარიკაშვილი ითხოვს კომისიის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებას და შპს „ალტ-ინფოს“ სამართალდამრღვევად ცნობას.

## 2.4 უხამსობის რეგულირება

### 2.4.1 უხამსობის რეგულირების უფლებამოსილების თვითნებურად მითვისება

განსაკუთრებით შემაშფოთებელია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მცდელობა უხამსობის რეგულირების უფლებამოსილების მითვისებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ უხამსობის კონტროლი მაუწყებელთა თვითრეგულირების სფეროს მიეკუთვნება, ბოლო ორი წლის განმავლობაში, მარეგულირებელმა კომისიამ თავად დაიწყო მსგავსი შინაარსის პროგრამების აქტიური რეგულირება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ უხამსობის რეგულირების უფლებამოსილების მინიჭება არაერთხელ გააკრიტიკეს არასამართავრობო ორგანიზაციებმა. მაგალითად, შპს „მთავარი არხის“ წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება კოალიციის, „მედია ადვოკატირებისათვის“, წევრმა ორგანიზაციებმა მწვავედ შეაფასეს და აღნიშნეს, რომ კომისიას რეალურად მაუწყებლის შინაარსის გაკონტროლების და გასული სიუჟეტის „უხამსობად“ მიჩნევის კანონიერი უფლებამოსილება არ ჰქონდა.

ამასთან დაკავშირებით, კომისია, უხამსი პროგრამების რეგულირებისას, აპელირებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, რითაც სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–14 მუხლის მე–2 პუნქტის სიტყვები „გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56–ე ... მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება 56-ე მუხლის მე–4 პუნქტის სიტყვებს „...ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას“. უნდა აღინიშნოს, რომ ძალადაკარგული ჩანაწერის თანახმად, პირს არ შეეძლო მაუწყებლის მიერ უხამსო პროგრამის განთავსების შემთხვევაში სასამართლოსთვის მიემართა.

კომუნიკაციების კომისია მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ მას პროგრამების შინაარსობრივი მხარის (დაადგინოს, შეიცავს თუ არა ის ადამიანის უფლებების ან ღირსების შემლახველ  უხამსობას) შეფასების უფლებამოსილება მიანიჭა. სინამდვილეში, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები ცხადყოფს, რომ დაუშვებელია შინაარსობრივი რეგულირების შემოღება. კერძოდ, სასამართლომ ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიღებისას განმარტა, რომ „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, შინაარსობრივი რეგულირების შემოღების გზით, ამ უფლებაში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე

მძიმე ფორმაა. იმის სავალდებულოდ განსაზღვრა, თუ რა შინაარსის აზრის/ინფორმაციის გავრცელება არის დაუშვებელი, გულისხმობს პირთა გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას“.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაში არაკონსტიტუციურად მიიჩნევს სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვას, ხოლო მას არც ერთ ნაწილში, არც პირდაპირ და არც ირიბად არ მიუთითებია იმაზე, რომ ასეთივე უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს მესამე პირს, ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც საკუთარი ინიციატივით, ყოველგვარი მოსარჩელის გარეშე, თავად გადაწყვეტს, რომ კონკრეტული პროგრამა ლახავს ვინმეს ინტერესებს და შეიცავს უხამსობას. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო ამ გადაწყვეტილებაში ასკვნის, რომ „მაუწყებლის მიერ დარღვეული უფლების აღდგენის, მათ შორის, უფლების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს (სამართლიანი სასამართლოს უფლებას)“.

ამდენად, აშკარაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ის ჩანაწერი, რომელიც იმ ადამიანის, რომელსაც უხამსი პროგრამის გადაცემით დაერღვა უფლებები, უკრძალავს სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას, რათა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ხოლო, ამ გადაწყვეტილების მიზანი არ ყოფილა კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის უხამსობის მარეგულირებელი მანდატის მინიჭება.

ამის გათვალისწინებით კი, ცალსახაა, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ეს მანდატი თვითნებურად მიითვისა და ცდილობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე აპელირებით გაამართლოს მაუწყებლების მიმართ წამოწყებული შინაარსობრივი რეგულირება.

ყოველივე ამის მიუხედავად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია კვლავ განაგრძობს მედიის შინაარსობრივ რეგულირებას და უხამსობისთვის მაუწყებლების სამართლდამრღვევებად ცნობას, რაც ეწინააღმდეგება როგორც კანონმდებლობას, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

### 2.4.2 კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებების სამართლებრივი შეფასება „უხამს“ პროგრამებთან მიმართებაში

გარდა იმისა, რომ კომუნიკაციების კომისიას არ აქვს უხამსობის რეგულირების კანონიერი უფლებამოსილება, კომისია უხამსი პროგრამების განთავსებისთვის მაუწყებლების სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, საერთაშორისო პრაქტიკის არასწორ და მანიპულაციურ განმარტებებს ეყრდნობა.

GDI-მ სამართლებრივად შეაფასა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც კომისიამ სამართალდამრღვევად ცნო შპს „მთავარი არხი“ ეთერში გასული ერთ-ერთი სიუჟეტისთვის. სიუჟეტი, კომისიის აზრით, შეიცავდა უხამსობას და, ამდენად, ეწინააღმდეგებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

GDI-ს შეფასებით, სადავოდ გამხდარი სიუჟეტი, სინამდვილეში, შეიცავდა პოლიტიკურ სატირას, ხოლო კომუნიკაციების კომისიის მიერ „მთავარი არხის“ წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივმა შეფასებამ აშკარა გახადა, რომ კომისიამ თავისი გადაწყვეტილება დააყრდნო საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული გადაწყვეტილებების სუბიექტურ და მანიპულაციურ განმარტებებს, რაზე აპელირებითაც ცდილობს შეზღუდოს დემოკრატიული და პლურალური საზოგადოებისათვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება

- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. სინამდვილეში, სწორედ საერთაშორისო დონეზე არსებული სტანდარტების ობიექტური შეფასება იძლევა კომისიის გადაწყვეტილების უკანონოდ გამოცხადების საფუძველს, რომელიც მიზნად მაუწყებლის საქმიანობის შინაარსობრივ კონტროლს ისახავს და სავსებით ეწინააღმდეგება არა მხოლოდ კონსტიტუციურ სტანდარტებს, არამედ სხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ პრაქტიკასაც.

აღსანიშნავია, რომ კომისიას უხამსობისთვის სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ კიდევ ორი გადაწყვეტილება აქვს მიღებული (2021 წლის 15 აპრილსა და 2021 წლის 29 ივლისს) - შპს „ალტ-ინფოს“ წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ ამ ორ საქმეზე მსჯელობისას, კომისიამ შპს „მთავარი არხის“ წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სტანდარტები და მსჯელობა გამოიყენა, ხოლო გაშუქებული პროგრამები ზედაპირულად შეაფასა. სწორედ ამის გათვალისწინებით, არსებობს საფრთხე, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შემდგომშიც განაგრძოს მაუწყებლების წინააღმდეგ ზედაპირებულად შეფასებული და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღება, და ამით საფრთხე შეუქმნას კონსტიტუციით გარანტირებულ მედიის თავისუფლებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკა, გარდა იმისა, რომ ფორმალური თვალსაზრისით ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და კონსტიტუციურ სტანდარტებს, ასევე ისახავს მიზნად მაუწყებლების შინაარსობრივ რეგულირებას და საფრთხეს უქმნის მედიის თავისუფლებას.

## 3. ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული თავდასხმები და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები

### 3.1. ფიზიკური თავდასხმის ფაქტები ჟურნალისტებზე

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის არაერთი ფაქტი გამოვლინდა. საგულისხმოა, რომ ჟურნალისტების მიმართ აგრესიასა და ფიზიკურ თუ სიტყვიერ თავდასხმებს განსაკუთრებით ახალისებს სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ გაკეთებული დისკრედიტაციული და ძალადობის წამახალისებელი განცხადებები.

ამ კუთხით, შემაშფოთებელია 5-6 ივლისის მოვლენები, როდესაც „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ გამართული კონტრაქციის გასაშუქებლად მისული მედიის სულ მცირე 53 წარმომადგენელი ძალადობრივი ჯგუფების მასშტაბური თავდასხმის მსხვერპლი გახდა. GDI-ს შეფასებით, „ხელისუფლებამ 5-6 ივლისს დაარღვია ღირსების შემლახავი მოპყრობისგან მედიის წარმომდგენლების დაცვის ვალდებულება და ასევე არ ან ვერ უზრუნველყო მათ მიერ ჟურნალისტური საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელება, რითაც დაარღვია გამოხატვის თავისუფლება“. ამასთანავე, სახალხო დამცველის შეფასებით, ძალადობრივი ქმედებების აღსაკვეთად სამართალდამცავებს ქმედითი პრევენციული და რეაქციული ზომები არ მიუღიათ. მათ შორის, რუსთაველის გამზირზე არ ყოფილა მობილიზებული სამართალდამცავთა შესაბამისი დანაყოფების სათანადოდ მაღალი რაოდენობა.

საგულისხმოა, რომ 5-6 ივლისს დაზარალებულ მედიის წარმომადგენლებს შორის იყო „ტვ პირველის“ ოპერატორი, ალექსანდრე ლაშქარავა, რომელიც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ „იუნესკომ“ იგი მოკლულ ჟურნალისტთა სიაში შეიყვანა. ამის საპირისპიროდ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ლაშქარავას გარდაცვალების მიზეზად ნარკოტიკული საშუალებით ინტოქსიკაციის შედეგად განვითარებული გულსისხლძარღვთა

და სუნთქვის მწვავე უკმარისობა დასახელდა. შედეგად, ლექსო ლაშქარავაზე ძალადობაში ბრალდებულებს თბილისის საქალაქო სასამართლომ 5-5 წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

საქმეში დაზარალებულ ჟურნალისტებს შორის არიან „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი თორნიკე მანდარია და ოპერატორი დავით ქორიძე, რომლებსაც სხვა მოძალადეებთან ერთად, 2021 წლის 5 ივლისს უკვე მსჯავრდებული გიორგი კახიანი ჰომოფობიური მოტივით თავს დაესხა, ფიზიკურად გაუსწორდა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები მიაყენა, როდესაც ისინი „თბილისი პრაიდის“ მაშინდელ დირექტორთან, გიორგი თაბაგართან ერთად ტოვებდნენ გაეროს შენობას მრგვალი ბაღის წინ. თორნიკე მანდარიას ინტერესებს GDI იცავს.

გიორგი კახიანს თავდასხმისათვის ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა), 156-ე (დევნა) მუხლებითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა). 2022 წლის 4 აპრილს გამოცხადებული განაჩენის თანახმად, მოსამართლემ გიორგი კახიანი დამნაშავედ ცნო ჯგუფური ძალადობისთვის (სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), დევნისთვის (156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები - ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით და რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი) და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისთვის (154-ე მუხლის მე-2 ნაწილი - ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით. შესაბამისად, მოსამართლემ გიორგი კახიანს მოუხსნა ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის ბრალდება და იგი გადააკვალიფიცირა ჯგუფურ ძალადობად.

GDI არ ეთანხმება ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ბრალდების შეცვლას ჯგუფური ძალდობით. ამგვარი მიდგომა უგულებელყოფს 2022 წლის 5 ივლისს ჟურნალისტებსა და სამოქალაქო აქტივისტებზე მასშტაბური, ჰომოფობიური/დისკრიმინაციული მოტივით ორგანიზებულ ძალადობას, როდესაც დანაშაულის ორგანიზებულ ხასიათზე არაერთი მტკიცებულება მიუთითებს. ამასთანავე, კითხვებს აჩენს შეფარდებული სანქციის ზომა, რომელიც ჰომოფობიური (სიძულვილის) მოტივის დროს, კანონმდებლობის თანახმად, უნდა იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე ასეთი მოტივის გარეშე ჩადენილი დანაშაულისას.

ამდენად, GDI-ს მიაჩნია, რომ განაჩენით დადგენილი სასჯელი არ შეესაბამება დანაშაულის სიმძიმეს. შედეგად, GDI-მ საქართველოს პროკურატურას, მიღებული განაჩენის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებისკენ მოუწოდა.

5-6 ივლისს განხორციელებული მასშტაბური თავდასხმების გარდა, მედიის (განსაკუთრებით კი, კრიტიკული მედიის) წარმომადგენლები არაერთხელ გამხდარან ფიზიკური თუ სიტყვიერი თავდასხმის სამიზნე.

საგულისხმოა 2021 წლის 25 თებერვალს განხორციელებული თავდასხმა ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტ ვახო სანაიასა და მისი ოჯახის წევრებზე. მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტსა და მის ოჯახზე თავდასხმა კრიტიკული მედიის მიმართ მმართველი პარტიის აგრესიული დამოკიდებულების შედეგია, რომელიც „ქართული ოცნების“ წევრების მიერ კრიტიკული მედიის წარმომადგენლების შესახებ გაკეთებული განცხადებებითა და ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტებზე არასათანადო რეაგირებით არის გამოწვეული.

ამასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გააკეთა საქართველოს სახალხო დამცველმაც, რომელმაც სახელმწიფოს დანაშაულზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ სამივე ბრალდებულს მინიმალური სასჯელი - 6-თვიანი პატიმრობა შეუფარდა.

GDI-მ, რომელიც დაზარალებულ ვახო სანაიას ინტერესებს იცავს, საქართველოს

პროკურატურას მიმართა მოთხოვნით, რომ გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, ვინაიდან, GDI-ს აზრით, სასჯელის ნაწილში გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია. პროკურატურამ განაჩენი სააპელაციო სასამართლოში (სასჯელის ნაწილში) გაასაჩივრა, ხოლო საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლო მეგობრის მოსაზრება წარადგინა. სამწუხაროდ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის საჩივარი და პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში დატოვა.

ჟურნალისტებზე თავდასხმები და მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლა გრძელდება 2022 წელსაც. მაგალითად, 2022 წლის პირველ ნახევარში თავდასხმები განხორციელდა „ფორმულას“ გადამღებ ჯგუფზე, „მთავარი არხის“ ჟურნალისტსა და ოპერატორზე. საგულისხმოა პოლიციელების მხრიდან ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტიც, რომელიც 2022 წლის 18 თებერვალს კასპის საკრებულოში დაწყებულ ხმაურს მოჰყვა. ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები და სამოქალაქო აქტივისტები დარბაზიდან ძალის გამოყენებით გაიყვანეს, და ამ დროს დაზიანებები მიაყენეს ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტსაც. ამასთანავე, დაზიანდა ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ვიდეოაპარატურაც. ამ საქმეზე იმ დროს მოქმედმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოძიება დაიწყო (პოლიციელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების საფუძვლით), რომლის ფარგლებშიც GDI „მთავარი არხის“ ჟურნალისტის უფლებებს იცავს.

კრიტიკული მედიის მიმართ მმართველი პარტიის აგრესიული დამოკიდებულების გამოვლინებაა 2021 წლის 15 სექტემბერს „მთავარი არხის“ გადამღებ ჯგუფზე „ქართული ოცნების“ წევრების თავდასხმა.

„მთავარი არხის“ ცნობით, ოპერატორი ლევან აბლოთია ჟურნალისტ ბექა ყორშიასთან ერთად ქარელის მერობის კანდიდატზე, ზაზა გულიაშვილზე სიუჟეტს ამზადებდა, როდესაც ოპერატორი „ქართული ოცნების" ქარელის ოფისის მეორე სართულის აივნიდან გადმოაგდეს. როგორც ჟურნალისტი ბექა ყორშია ყვება, „ქართული ოცნების“ წევრები მისვლისთანავე აგრესიულად შეხვდნენ ჟურნალისტსა და ოპერატორს. ამ ვერსიას უარყოფენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. მათი განმარტებით, ოპერატორი თავად გადავარდა კიბის მოაჯირიდან და არა აივნიდან, თუმცა ადასტურებენ გადამღებ ჯგუფსა და შტაბის წევრებს შორის მომხდარ სიტყვიერ დაპირისპირებას. ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით) დაიწყო.

კრიტიკული მედიის წარმომადგენლები არაერთი სიტყვიერი თუ ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლები გახდნენ სასულიერო პირების მხრიდანაც. 2021 წლის 4 მაისს, დავით გარეჯში სიუჟეტზე მუშაობისას, სასულიერო პირებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „მთავარი არხის“ ჟურნალისტს, ნინუცა კეკელიასა და ოპერატორს, ირაკლი კვარაცხელიას. 2021 წლის 8 მაისს გავრცელდა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ სასულიერო პირების აგრესიის მსხვერპლი გახდა „მთავარი არხის“ კიდევ ერთი ჟურნალისტი, ირაკლი ვაჩიბერიძე, რომელსაც პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს, ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონ ბულუხიამ ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. სასულიერო პირების მიერ ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტებს განცხადებით გამოეხმაურა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და განმარტა, რომ „სამართალდამცავი უწყების მხრიდან მსგავსი ფაქტების მკაცრი რეაგირების გარეშე დატოვება, ამგვარ ძალადობასა და ჟურნალისტების მუშაობაში ხელის შეშლის შემთხვევებს ახალისებს, რაც მედიაგარემოსთვის ძალიან დამაზიანებელია“.

## 3.2. სავარაუდოდ, მოსაზრებებისა და პოზიციის გამო ჟურნალისტთა დევნა საზოგადოებრივ მაუწყებელზე

ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის მცდელობად გვევლინება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის, თინათინ ბერძენიშვილის 2021 წლის 9 აგვისტოს ბრძანება საავტორო გადაცემა „კვირის ინტერვიუს“ წამყვანის, ირაკლი აბსანძის, გათავისუფლების შესახებ. საყურადღებოა, რომ ირაკლი აბსანძე ხშირად გამოირჩეოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული კრიტიკული განცხადებებით. 2021 წლის 12 ივლისს მმართველი პარტიის ოფისთან მიმდინარე საპროტესტო აქციაში მონაწილეობისას, ის პოლიციამ დააკავა და ამ დროს ხელი მოიტეხა.

ირაკლი აბსანძის საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში/არაერთგზის დარღვევა დასახელდა. თუმცა ტელეწამყვანის გათავისუფლების ფაქტი კოალიციამ, „მედიის ადვოკატირებისთვის“, ჟურნალისტის კრიტიკული მოსაზრებების გამო დევნად და სარედაქციო დამოუკიდებლობის შესაძლო ხელყოფად შეაფასა. აბსანძის გათავისუფლება ასევე დაემთხვა ძალადობირივი ჯგუფების მოთხოვნას მისი გათვი-სუფლების შესახებ.

„ალტ-ინფოს“ განცხადებებს საეჭვოდ დაემთხვა საზოგადოებრივი მაუწყებლის კიდევ ერთი წამყვანის, იმედა დარსალიას ჟურნალისტური საქმიანობის შეწყვეტა. გადაცემა „ახალი კვირა“, რომლის წამყვანი იმედა დარსალია იყო, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რეორგანიზაციის მიზეზით შეაჩერა. თავად წამყვანის თქმით, ერთ-ერთი სიუჟეტის ეთერში გასვლიდან რამდენიმე საათში, „ალტ-ინფოს“ წევრები დაიმუქრნენ, ზუსტად ერთ თვეში კი, ტელევიზიამ გადაცემა დახურა. ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განმარტა, რომ არხზე არცერთი პროექტი არ დახურულა და ეთერში ახალი კვირის განახლებული ფორმატი გავა. მიუხედავად ამისა, საყურადღებოა, რომ მაუწყებელმა 2022 წლის 29 აპრილს „ახალი კვირის“ წამყვანი იმედა დარსალია და ჟურნალისტები სოფო ზედელაშვილი და თამთა ჯანაძე გაათავისუფლა, რის მიზეზადაც ცრუ და დაუსაბუთებელი განცხადებების გავრცელება დასახელდა. ჟურნალისტები ცენზურის მცდელობაზე უთითებენ და საზოგადებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებენ.

ჟურნალისტებზე ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმების მომატებულმა შემთხვევებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მედიის წარმომადგენლებს არ ეძლევათ თავისუფალ, უსაფრთხო გარემოში მუშაობის შესაძლებლობა. ჟურნალისტების მიმართ საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებასა და თავდასხმების მცდელობებს თავისთავად ხელს უწყობს სახელმწიფოს მოქმედება თუ უმოქმედობა. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, „ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა გაზრდილი მაჩვენებელი, პირდაპირ არის დაკავშირებული საგამოძიებო უწყებების არასათანადო რეაგირებასთან რიგ შემთხვევებში, რაც ქვეყანაში დაუსჯელობის გარემოს ქმნის“. ამდენად, ერთი მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლები აშკარად და ღიად აკეთებენ დისკრედიტაციულ განცხადებებს კრიტიკული მედიის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ძალადობის ფაქტებზე არაეფექტიანი რეაგირება შესაბამისი უწყებების მხრიდან, ხელს უშლის ჟურნალისტების საქმიანობისთვის უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნას.

## 4. ჟურნალისტთა პროფესიული და პირადი ცხოვრების ხელყოფა - სავარაუდო უკანონო მიყურადებები

ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ერთ-ერთ მაგალითად გვევლინება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სავარაუდო უკანონო მიყურადების შემთხვევები.

2021 წლის 13 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სასულიერო პირების, პოლიტიკოსების, ადვოკატების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების და სხვა პირთა სავარაუდოდ უკანონო მიყურადების შესახებ. საყურადღებოა, რომ მათ შორის, გავრცელდა სხვადასხვა ჟურნალისტის კერძო კომუნიკაციის შინაარსის ამსახველი ფაილები. ჟურნალისტებმა და სხვა პირებმა, რომლებიც გავრცელებულ ფაილებში ფიგურირებდნენ, დაადასტურეს საუბრების ავთენტურობა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის საფუძვლით საქართველოს პროკურატურაში დაიწყო გამოძიება, ხოლო, იმ ჟურნალისტთა ნაწილის ინტერესებს, ვისაც სუს-ი უკანონოდ უსმენდა, GDI იცავს.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებს უშუალო ზიანი მიადგათ დანაშაულის შედეგად, კერძოდ კი, შეილახა მათი კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება, პროკურატურამ GDI-ს მიმართვის მიუხედავად, ისინი არ ცნო დაზარალებულებად. GDI-მ სასამართლოშიც წარადგინა საჩივარი დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რაზეც სასამართლომ გამოიტანა განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს მოქმედმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ფაქტობრივად დაადასტურა, რომ GDI-ს დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ გამოძიების ფარგლებში ფარულ მოსმენას/მიყურადებას მისი მეთვალყურეობის ქვეშ ადგილი არ ჰქონია, რაც, შესაძლოა, ფარული მიყურადების უკანონობისთვის დამატებითი არგუმენტი იყოს.

ჟურნალისტთა კერძო კომუნიკაციების სავარაუდო უკანონო მოსმენა საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს მათი საქმიანობის თავისუფლად განხორციელებისთვის. უკანონო მიყურადების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ერთი მხრივ, საფრთხე შეექმნება წყაროს კონფიდენციალურობის დაცვის სტანდარტებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეეშლება მედიისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების პროცესს ე.წ. მამხილებლების მიერ, ვინაიდან მათ ექნებათ მოლოდინი, რომ მედიისთვის მიმართვის შემთხვევაში მათი ვინაობა ცნობილი გახდება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის. მსგავსი ვითარება კი, არსებითად აფერხებს მედიის თავისუფლებასა და ჟურნალისტურ საქმიანობას.

GDI განაგრძობს დაზარალებული ჟურნალისტების სამართლებრივ მხარდაჭერას როგორც ეროვნულ დონეზე, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

## 5. ცილისწამების საფუძვლით სასამართლოში დაწყებული დავები

მაუწყებლებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ, ხშირია სასამართლოს გზით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობები, როგორც კერძო პირების, ისე საჯარო პირების მხრიდან. მედიის მიერ გაკეთებული კრიტიკული განცხადებები არაერთხელ ყოფილა სასამართლო დავის დაწყების საფუძველი, განსაკუთრებით, ხელისუფლების წარმომადგენლების ინიციატივით.

GDI დაინტერესდა, რამდენად გახშირდა კრიტიკულად განწყობილი მედიების წინააღმდეგ სასამართლოში ცილისწამებასთან დაკავშირებით დავების განხილვა და აღმოაჩინა, რომ მათმა რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა. საყურადღებოა ისიც, რომ სარჩელების უმეტესობა სასამართლოში შეტანილია მოქმედი მაღალჩინოსნების/საჯარო მოხელეების ან „ქართულ ოცნებასთან“ სავარაუდოდ დაკავშირებული პირების მიერ, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ სარჩელები მიმართულია მედიის თავისუფლების შესაზღუდად.

წარმოგიდგენთ სტატისტიკას კრიტიკულად განწყობილი მედიების წინააღმდეგ ცილისწამების საფუძვლით სასამართლოში შეტანილი საქმეების შესახებ:

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში გახშირდა სასარჩელო მექანიზმის ბოროტად გამოყენების და სასამართლოსთვის ე.წ. SLAPP სარჩელებით მიმართვის შემთხვევები. მსგავსი სარჩელები წარმოადგენს სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელებას კრიტიკული მედიისთვის, ვინაიდან მიზნად ისახავს ჟურნალისტების/მედიის გაჩუმებასა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ხოლო შედეგად იწვევს სამართალწარმოების გზით მედიისთვის ცენზურის დაწესებას.

აღსანიშნავია, რომ GDI-ს, სამართლებრივი დახმარების მისაღებად, არაერთმა მედიამ მიმართა, რომელთა წინააღმდეგაც ცილისწამების მოტივით სარჩელი იყო შეტანილი სასამართლოში. ორგანიზაციამ კანონმდებლობის, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის შედეგად უზრუნველყო მოპასუხე მედიაორგანიზაციებისთვის სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და მათი წარმომადგენლობა სასამართლოში. მიგვაჩნია, რომ მსგავს საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მედიის თავისუფლების

დასაცავად, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე სახელმწიფო უწყებების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიების წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებს ეხება.

საყურადღებოა ხელისუფლებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მიერ ცილისწამების საფუძვლით წარმოწყებული საქმეები, სადაც GDI მედიაორგანიზაციებს სამართლებრივ დახმარებას უწევდა.

## 5.1 გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელი მედიების წინააღმდეგ

მედიის თავისუფლების კუთხით განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, გრიგოლ ლილუაშვილის ტელეკომპანია „ფორმულასა“ და „მთავარი არხის“ წინააღმდეგ სასამართლოსთვის სარჩელზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

2022 წლის 29 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, ნანა შამათავამ დააკმაყოფილა გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელი და, შესაბამისად, დაადგინა მის მიმართ ცილისწამების ფაქტი.

საქმე ეხება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის, გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელს, რომლითაც მან სადავოდ გახადა შპს „ფორმულას“ და შპს „მთავარი არხის“ ეთერში გავრცელებული განცხადებები, რომლებიც დანაშაულებრივ სქემაში, ე.წ ქოლ-ცენტრების საქმეში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და მისი როგორც ამ უწყების ხელმძღვანელის, სავარაუდო ფიგურირებას უკავშირდება.

მოპასუხე მედიის წარმომადგენლები უთითებდნენ, რომ მსგავს საქმეებში სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს მედიის ფუნქციაზე - გაავრცელოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხები. მნიშვნელოვანია ეთერში გასული განცხადებების მიზანიც - შესაბამისი უწყებების მხილება სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებში და უფლებამოსილი ორგანოებისთვის მიმართვა გამოძიების დაწყების თაობაზე. ამდენად, ის არ იყო მიმართული რომელიმე კონკრეტული პირის წინააღმდეგ. ამასთანავე, ჟურნალისტების მიერ გაკეთებული განცხადებები წარმოადგენდა დასკვნებს, რასაც საკმარის ფაქტობრივ გარემოებებს აყრდნობდნენ და რის გამოც დაუშვებელია დაეკისროთ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სამწუხაროდ, სასამართლომ არ გაიზიარა მედიის წარმომადგენლების პოზიციები. მოსამართლე დაეთანხმა მოსარჩელეს და აღნიშნა, რომ ჟურნალისტის მიერ გაკეთებული განცხადებებით მოსარჩელეს შეელახა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

შპს „ფორმულას“ ინტერესებს სასამართლოში GDI იცავდა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო დავის მიმდინარეობისას დამატებით რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა:

- *მოსამართლემ სუს-ის ხელმძღვანელის სარჩელის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა და მსგავსი კატეგორიის საქმეების განხილვის პრაქტიკისგან განსხვავებით, არაორდინალურად სწრაფად, შემჭიდროებულ ვადებში, სარჩელის შეტანიდან ორ თვე ნახევარში განიხილა*
- *მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოპასუხე ტელეკომპანიების და დეპუტატის თითქმის არც ერთი შუამდგომლობა, მათ შორის, შუამდგომლობები საქმის შეწყვეტასა და მტკიცებულების დართვასთან დაკავშირებით*
- *სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ სახეზე არ გვაქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არც ერთი წინაპირობა, რომელიც განცხადების ცილისწამებლურად აღიარების შესაძლებლობას იძლევა. მათ შორის, არ დასტურდება ზიანი, რომელიც მოსარჩელეს გავრცელებული განცხადებებით მიადგა და მოსარჩელემ ვერც ის დაამტკიცა, რომ მოპასუხეები*

*მოქმედებდნენ აშკარა და უხეში დაუდევრობით*

- *მოსარჩელემ თავისი პოზიცია დაამყარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების მანიპულაციურ განმარტებებს, რაც სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მცდელობა იყო*
- *სასამართლომ არ გაითვალისწინა მსგავსი გადაწყვეტილების მიღებით გამოწვეული საფრთხეები. მათ შორის, ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, რომ სარჩელი შეტანილია სუს-ის ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც მედიაში გავრცელებული კრიტიკული მოსაზრებების მიმართ მეტი თმენის ვალდებულება გააჩნია.*

GDI განაგრძობს საქმის წარმოებას ზემდგომ ინსტანციაში.

## 5.2 ნინო წილოსანის სარჩელი შოთა დიღმელაშვილის წინააღმდეგ

ცილისწამების საფუძვლით, სარჩელით სასამართლოს ასევე მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრმა, ნინო წილოსანმა. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სამოქალაქო აქტივისტის, შოთა დიღმელაშვილის განცხადებებს. სამოქალაქო აქტივისტმა გადაცემა „სირცხვილიას“ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ ნინო წილოსანი იყო შპს „სანოს“ მფარველი, ე.წ „კრიშა“. ნინო წილოსანი სარჩელში უთითებდა, რომ მსგავსი ინფორმაციის გავრცელებით მას შეელახა პატივი და ღირსება, ამიტომ, გავრცელებული ცნობების უარყოფა მოითხოვა.

2022 წლის 29 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, ზაალ მარუაშვილმა დააკმაყოფილა ნინო წილოსანის სარჩელი და, შესაბამისად, მის მიმართ ცილისწამების ფაქტი დაადგინა.

შოთა დიღმელაშვილის ინტერესებს სასამართლოში GDI იცავდა. მოპასუხემ სასამართლოში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განცხადებების გაკეთების დროს ის მოქმედებდა როგორც ჟურნალისტი და საზოგადოებას გააცნო საჯარო წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია „ქართული ოცნების“ დეპუტატის კავშირის შესახებ შპს „სანოსთან“, რომელმაც, აუდიტის სამსახურის მონაცემებით, სახელმწიფოს მიერ ქუთაისელი უსახლკაროებისთვის გამოყოფილი თანხიდან დაახლოებით ორი მილიონი ლარით მეტი დაუსაბუთებლად აიღო. მოპასუხემ განმარტა, რომ მისი დასკვნები საჯარო წყაროებში არსებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. ამასთანავე, იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ ნინო წილოსანი მაღალი თანამდებობის მქონე პირია, რომელსაც მსგავსი განცხადებების მიმართ თმენის მეტი ვალდებულება აქვს.

სამწუხაროდ, სასამართლომ უგულებელყო ევროსასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა და მსგავსი გადაწყვეტილების მიღებით გამოწვეული საფრთხეები არ გაითვალისწინა. მოსამართლე დაეთანხმა მოსარჩელეს და აღნიშნა, რომ გაკეთებული განცხადება ობიექტური დამკვირვებლისთვის აღიქმებოდა ფაქტად, რომლითაც ნინო წილოსანს შეელახა პატივი და ღირსება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები გრიგოლ ლილუაშვილისა და ნინო წილოსანის სარჩელებთან დაკავშირებით, ქმნის განსაკუთრებულად საშიშ პრეცედენტს, ვინაიდან არსებობს იმის მოლოდინი, რომ საჯარო პირების მხრიდან გაიზრდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მართლმსაჯულების ობიექტად ქცევის შემთხვევები.

GDI განაგრძობს საქმის წარმოებას ზემდგომ ინსტანციაში.

## 5.3 შსს-ს წარმომადგენლების სარჩელები მედიების წინააღმდეგ

ხშირია შსს-ს წარმომადგენლების მიერ კრიტიკული მედიის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობებიც. ამ კუთხით, საყურადღებოა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოს უფროსის მოადგილის, გენრი ღვინჯილიას სარჩელი ტელეკომპანია „ფორმულას“ წინააღმდეგ.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაცემა „შაბათის ფორმულაში“ გასული რეპორტაჟით მის შესახებ ცილისმწამებლური ინფორმაცია გავრცელდა. სადავო რეპორტაჟი ეხება ე.წ. „სუტინიორების“ საქმეს, საუბარი იყო იმაზე, რომ „შკოდა“, რომელიც „შაბათის ფორმულას“ საგამოძიებო რეპორტაჟში კომენდანტის საათებში გამოძახებულ სექს მუშაკს ესკორტად მოჰყვა, „შაბათის ფორმულას“ ობიექტივმა ვაკე-საბურთალოს მე-7 განყოფილებასთან შენიშნა. სადავო რეპორტაჟის თანახმად კი, ამ „შკოდას“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი, მოსარჩელე გენრი ღვინჯილია მართავს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც, სიუჟეტის მთავარი ფოკუსი მიმართული იყო არა უშუალოდ მოსარჩელეზე, არამედ მანქანაზე, რომელიც „სუტინიორების“ საქმეში გამოიკვეთა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხია, გენრი ღვინჯილია მიიჩნევს, რომ სიუჟეტით მას შეელახა პატივი და ღირსება.

მიგვაჩნია, რომ სასამართლომ აუცილებლად უნდა მიიღოს მხედველობაში საფრთხეები, რომლებიც, შესაძლოა მოჰყვეს სარჩელის დაკმაყოფილებას. საყურადღებოა, რომ გენრი ღვინჯილია შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მაღალი თანამდებობის პირია. შესაბამისად, არსებობს იმის  საფუძველი, რომ სარჩელი სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ირიბი მიმართვა იყოს სასამართლოსთვის, რათა შეზღუდოს მედიის თავისუფლება და თავიდან აირიდოს მედიის კრიტიკა მისი და მისი თანამშრომლების მიმართ. ამაზე მიუთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული არაერთი განცხადება, რომელიც სამინისტრომ „შაბათის ფორმულას“ სამივე რეპორტაჟის შემდეგ გამოაქვეყნა (იხ. 2021 წლის 23 იანვრის განცხადება; 2021 წლის 30 იანვრის განცხადება; 2021 წლის 13 მარტის განცხადება).

სამივე განცხადებაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო ღიად გამოთქვამს ტელეკომპანია „ფორმულას“ მიმართ არსებულ უარყოფით დამოკიდებულებას, ხოლო 13 მარტის განცხადებაში, პირდაპირ მიუთითებს, რომ „შინაგან საქმეთა სამინისტრო არ დატოვებს რეაგირების გარეშე ტელეკომპანია ფორმულას მიერ არაერთხელ მიზანმიმართულად გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას, უახლოეს დღეებში მოახდენს სამართლებრივ რეაგირებას და საკუთარი თანამშრომლების ღირსებას სასამართლოში დაიცავს“.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას“. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტრო პირდაპირ არ მიმართავს სასამართლოს, თუმცა ირიბად, საკუთარი თანამშრომლების გამოყენებით, ცდილობს დაიცვას სახელმწიფო უწყების „რეპუტაცია“ კრიტიკულ მედიაზე თავდასხმისა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მართლმსაჯულების ობიექტად ქცევით გზით. ამდენად, მნიშვნელოვანია, სასამართლომ გაითვალისწინოს ეს გარემოებები, არ დააკმაყოფილოს სარჩელი და არ დაუშვას მედიის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა.

ამასთანავე, სასამართლოში შეტანილია შსს-ს კიდევ ერთი წარმომადგენლის, ფოთის პატრულ-ინსპექტორის, გელა კვაშილავას სარჩელი „ტვ პირველის“ წინააღმდეგ. სარჩელით სადავოდ გამხდარ სიუჟეტში საუბარია საქართველოს შსს სამინისტროს თანამშრომლის - გელა კვაშილავას სავარაუდო მონაწილეობაზე სისხლის სამართლის დანაშაულში. სიუჟეტის თანახმად, მოსარჩელე ნარკოტიკული საშუალებებით დატვირთულ მანქანას მართავდა და

უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხო ტრანსპორტირებას, რასაც შსს-ს რეაგირება არ მოჰყოლია.

საყურადღებოა, რომ გელა კვაშილავას სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილების მიღებისას ის დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მანიპულაციური მითითებით ადგენს მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტს ისეთ საქმეებზე, რომლებიც ჟურნალისტის მიერ გავრცელებულ განცხადებებს ეხება. GDI გაეცნო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ ის დაუსაბუთებელია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობა სასამართლო პრაქტიკაში არასწორად არის გადმოტანილი. ამასთანავე, მასში უგულებელყოფილია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული საკანონმდებლო დებულებები მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

შსს-ს წარმომადგენლების გააქტიურება და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ სარჩელების შეტანა განსაკუთრებით საშიშია და მიანიშნებს სახელმწიფო უწყებების მცდელობებზე, ჩაახშონ კრიტიკული აზრი საზოგადოებაში, რომელსაც კრიტიკული მედია ავრცელებს. მეორე მხრივ, შემაშფოთებელია საერთო სასამართლოების პრაქტიკაც, რომელიც მტკიცების ტვირთის გადანაწილებას ეხება და, ფაქტობრივად, ხელს უშლის მედიას თავისი ვალდებულების შესრულებაში - გააცნოს საზოგადოებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქვეყნის უწყებების შესახებ და ამხილოს დანაშაულში უწყების წარმომადგენლები.

## 6. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილების ფარგლები

### 6.1. არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის მოტივით ამოქმედებული ცვლილებები

როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვთა უფლებათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2020 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ნორმები, რომელთა მიზანიც არის არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზეგავლენისგან. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მაუწყებლებს დაეკისრათ ინფორმაციის დახარისხებისა და ასაკობრივი ნიშანდების წესების დაცვის ვალდებულება, ასევე, ნორმებით განისაზღვრა ის შინაარსობრივი კრიტერიუმები, რომლებიც მაუწყებლობის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას დააკვალიფიცირებდა, როგორც „არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მქონეს“. ხოლო ამ მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის უფლებამოსილება უშუალოდ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიენიჭა.

ნიშანდობლივია, რომ არასრულწლოვანზე მავნე ზეგავლენის პრევენციის მარეგულირებელი ნორმების დარღვევაზე სანქცირების ზოგადისგან განსხვავებული წესი მოქმედებს, კერძოდ, მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია ვალდებულია განიხილოს შესაბამისი საკითხი. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ზოგადი წესის თანახმად, კომისია უფლებამოსილია მაუწყებელი წერილობით გააფრთხილოს, თუმცა, თუკი საკითხი არასრულწლოვანზე მავნე ზეგავლენის პრევენციის მარეგულირებელი ნორმების დარღვევას შეეხება, მაუწყებლის წერილობითი გაფრთხილების წესი არ მოქმედებს და ამ შემთხვევაში კომისია ვალდებულია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა.

ანგარიშში უკვე მიმოხილული იყო ის ნეგატიური ტენდენციები, (გვ. 6) რომლებიც მოჰყვა

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ზემოაღნიშნული ნორმების პრაქტიკაში გამოყენებას. მსგავსი ტენდენციების ფორმირება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ნორმათა განუზღვრელი ხასიათით. GDI-მ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მოითხოვა ამ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა იმ საფუძვლით, რომ ისინი ვერ აკმაყოფილებენ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების კანონის ხარისხის მოთხოვნებს და გამოხატვის თავისუფლებით დაცული უფლებრივი სფერო გაუმართლებლად იზღუდება. სამართლებრივი ნორმების სუბიექტებს არ შეუძლიათ ადეკვატურად განჭვრიტონ საკუთარი ქმედების შესაბამისობა არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის პრევენციის კონტექსტში და, ამდენად, მაუწყებელთა გამოხატვის თავისუფლება მსუსხავ ეფექტს განიცდის. საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითი განხილვის სხდომაზე GDI-ს წარმომადგენლებმა მიუთითეს საერთაშორისო გამოცდილებაზე, რომლის მიხედვითაც, რიგ ქვეყნებში ოპერირებად მაუწყებლებს კანონმდებლობა აძლევს საშუალებას, კომუნიკაციების მარეგულირებელ ორგანოს მიმართონ კითხვით, ესა თუ ის პროგრამა ექცევა თუ არა კანონმდებლობით აკრძალულ კატეგორიაში. მსგავსი მოწესრიგება უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზებას და ადგენს ოპტიმალურ ბალანსს მაუწყებელთა გამოხატვასა და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს შორის. ალტერნატიული მოწესრიგების მიხედვით, კომისია საკუთარ კომპეტენციას დაქვემდებარებული საკითხების გარშემო წინასწარ უნდა ადგენდეს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც სამართლის სუბიექტთათვის ნათელს მოჰფენს ამა თუ იმ სამართლებრივი ნორმის გამოყენების წესს. კომისიის მიერ ცხადი და არაორაზროვანი სამართლებრივი სტანდარტების ფორმირება მაუწყებელთათვის ადმინისტრაციული პასუხისგების დაკისრების პარარელურად, ეწინააღმდეგება სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს და უხეშად არღვევს კონსტიტუციურ/კონვენციურ სტანდარტებს. არსებითი განხილვის სხდომაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომისია, როგორც ნორმათშემფარდებელი, შეზღუდულია საკანონმდებლო მოწესრიგებით და წამოჭრილ პრობლემებზე ალტერნატიული ფორმებით რეაგირების ბერკეტი არ გააჩნია.

ამდენად, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ნორმათა განუზღვრელი ხასიათი და მათში სიცხადის შეტანის სისტემური მექანიზმების არარსებობა, მეორე მხრივ კი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ნორმათშეფარდების პროცესში გამოკვეთილი ტენდენციები ქმნის 2020 წლის 1 სექტემბერს ამოქმედებული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის გონივრულ საფუძვლებს.

## 6.2. ნეგატიური დამოკიდებულების ამსახველი წინასაარჩევნო რეკლამის გავრცელების აკრძალვა

2021 წლის 13 ოქტომბერს, პოლიტიკური პარტიის, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, წარმომადგენელმა დეპუტატებმა დაარეგისტრირეს კანონპროექტი, რომელიც საარჩევნო კამპანიისას არჩევნებში მონაწილე სუბიექტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შემქმნელი სააგიტაციო და სარეკლამო მასალის გავრცელების აკრძალვას მიემართება. კერძოდ, ავტორთა ინიციატივით, ცვლილებები უნდა შევიდეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს საარჩევნო კოდექსში, რომელიც აკრძალავს ისეთი წინასაარჩევნო რეკლამის ან სააგიტაციო მასალის გავრცელებას, რომელიც „გამიზნულია საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შესაქმნელად“. ამავე დროს, საარჩევნო რეკლამის და სააგიტაციო მასალის გავრცელება დასაშვები ხდება მხოლოდ „პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო სუბიექტის მიერ ან პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო სუბიექტის დაკვეთით“. ამ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმები მაუწყებლის, სააგიტაციო მასალის გამავრცელებლისა და გავრცელების დამკვეთის, აგრეთვე, სააგიტაციო მასალის განთავსების ობიექტის მესაკუთრის მიმართ. კანონპროექტში აღნიშნულია ისიც, რომ „პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის მიერ

ან პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის დაკვეთით გავრცელებული აღნიშნული წინასაარჩევნო რეკლამა არ უნდა შეიცავდეს სხვა პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის გამოსახულებას, სახელწოდებას, რიგით ნომერსა და სიმბოლიკას".

GDI-მ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან მიმართებით შეიმუშავა ანალიტიკური დოკუმენტი და შენიშვნებით მიმართა საქართველოს პრალამენტს. GDI-ს მიაჩნია, რომ ინიცირებული კანონპროექტის კანონად ქცევა გაუმართლებლად შელახავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას. საჯარო და პოლიტიკური დისკუსიის ფარგლებში ნებისმიერი ფორმით „ნეგატიური დამოკიდებულების" გავრცელების აკრძალვა, თუკი იგი არ იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის რღვევის არსებით, აშკარა და მყისიერ საფრთხეს, არ არის ცილისმწამებლური (სამართლებრივი გაგებით) და არ გულისხმობს კონკრეტული პირის პირადი ცხოვრების ან სახელმწიფო საიდუმლოების გასაჯაროებას, გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელ შინაარსობრივ რეგულირებას წარმოადგენს. ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები არ მიემართება დაცვის ღირსი ლეგიტიმური მიზნების რეალიზებას და არც არის გამოსადეგი საშუალება დასახული მიზნის მისაღწევად. ამასთანავე, როგორც საკანონმდებლო წინადადების, ისე კანონპროექტის ფარგლებში, უგულებელყოფილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ უფლებრივ სფეროსთან და კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

კანონპროექტის ფარგლებში ინიცირებული საარჩევნო სუბიექტის/სუბიექტობის კანდიდატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ამსახველი სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამის გავრცელების აკრძალვა, პოლიტიკური გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირების ფორმაა. იგი მომეტებულ საფრთხეს უქმნის მედიის თავისუფლებასა და დემოკრატიული პროცესების ღიად წარმართვას. დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის მიმართ ნებისმიერი ფორმით ეპატაჟური, სარკასტული, ირონიული თუ კონკრეტულ პირთა ჯგუფისთვის გამაღიზიანებელი სააგიტაციო მასალის გავრცელება, რომელიც მიემართება ამა თუ იმ სუბიექტის მორალურ კრიტიკას, გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლებით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გამართლებული მსგავსი კრიტიკა. პოლიტიკური პროცესების წარმმართველი პირები მათ მიერ ნებისმიერი ფორმით (თუნდაც, სააგიტაციო მასალით) გამოთქმული შეფასებითი მსჯელობებისთვის მხოლოდ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას უნდა ექვემდებარებოდნენ. სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ იმის გამო, რომ კონკრეტული ინფორმაცია „შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს", ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

## 7. მართლმსაჯულება - მედიამენეჯერების დევნის ინსტრუმენტი

სახელმწიფო უწყებების მიერ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიამენეჯერების წინააღმდეგ მართლმსაჯულების მიკერძოებულად განხორციელების სისტემურმა შემთხვევებმა მედიაორგანიზაციების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და, ზოგადად, გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხი მნიშვნელოვანი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა.

ამ თვალსაზრისით, საგანგაშოა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ერთ-ერთი გავლენიანი მედიაორგანიზაციის, მთავარი არხის, მენეჯერს, ნიკა გვარამიას 3 წლით და 6 თვით პატიმრობა მიესაჯა. ნიკა გვარამია მსჯავრდებულად იქნა ცნობილი ორ ეპიზოდში: პირველი, ე.წ. 2015 წლის ეპიზოდი ეხება პროკურატურის

ბრალდებას, რომლის თანახმადაც, გვარამიამ, კომპანიის ფინანსურ დირექტორთან ერთად, 6 763 509 ლარი გაფლანგა, რის გამოც იგი 50 000 ლარით დააჯარიმეს, ხოლო მეორე, ე.წ. ავტომანქანის ეპიზოდში, პროკურატურა დავობდა, რომ ნიკა გვარამია და მისი ოჯახი სარგებლობდნენ 76 ათასი ევროს (232 201 ლარი) ღირებულების ავტომანქანით, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" სარეკლამო დროის გამოყენების სანაცვლოდ, შპს „პროესკო მედიას" სახელზე იყო გაფორმებული. ამ ეპიზოდში ნიკა გვარამიას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით. უფრო მკაცრმა სასჯელმა (პატიმრობა) ნაკლებად მკაცრი სასჯელი (ჯარიმა) შთანთქა და საბოლოოდ, გვარამიას ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მართლმსაჯულების რეპრესიული მექანიზმების ამოქმედებამ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მწვავე გამოხმაურება დაიმსახურა. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, რომელსაც საქმეზე „სასამართლო მეგობრის" მოსაზრება ჰქონდა წარდგენილი, არ არსებობდა ნიკა გვარამიას არათუ სისხლისსამართლებრივი, არამედ საკორპორაციო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

აშშ-ს საელჩოს განცხადებით, „მოსამართლის გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს ერთგულებას კანონის უზენაესობისადმი", „თავიდანვე ამ საქმემ წარმოშვა კითხვები დროის გარემოებასა და ბრალდებებთან დაკავშირებით. შერჩევითი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შემაშფოთებელი პრაქტიკა, მიმართული ამჟამინდელი მთავრობის ოპოზიციაში მყოფი პირების მიმართ, ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოებისა და თვით მთავრობის მიმართ. განსაკუთრებით ამ დროს, როდესაც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების უპრეცედენტო შესაძლებლობა აქვს, სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიზებულად აღქმაც კი ზიანის მომტანია. აშშ-ის მტკიცე პოზიციაა, რომ ჯანსაღი დემოკრატია სასამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასა და მედიის თავისუფლების დაცვაზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, მუდმივად მოვუწოდებდით მთავრობას არსებითი რეფორმების განხორციელებისკენ, ამ ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების დასაცავად".

განსაკუთრებით ნიშანდობლივია Amnesty International-ის განცხადება, რომელმაც აღნიშნა: „ნიკა გვარამიას განაჩენი არის პოლიტიკურად მოტივირებული დევნის უხეში ქმედება მისი განსხვავებული შეხედულებებისა და ხელისუფლების კრიტიკის საპასუხოდ. მას ახლა გისოსებს მიღმა წლები ემუქრება, რადგან მთავრობა განსხვავებული ხმების ჩასახშობად ძალისხმევას აძლიერებს. ნიკა გვარამია სასწრაფოდ უნდა განთავისუფლდეს".

ამდენად, ნიკა გვარამიას საქმე არის პოლიტიკური დევნის და მართლმსაჯულების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი. ეს საქმე კიდევ უფრო ნათელს ხდის, თუ როგორ ებრძვის ხელისუფლება სასამართლოს გამოყენებით მის მიმართ არსებულ კრიტიკულ აზრს და არ ერიდება კრიტიკული მედიის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის დაპატიმრებას ძალაუფლების შენარჩუნებისთვის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ეს არ არის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების მიერ მედიამენეჯერის წინააღმდეგ მიმართული ზეწოლის პირველი და ერთადერთი შემთხვევა.

2019 წლის 19 აპრილს, მრჩეველთა საბჭომ, აჭარის ტელევიზიის დირექტორის პოზიციიდან იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენა ნათია კაპანაძე. საკითხის გარშემო მწირი სამართლებრივი დასაბუთებიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციები მწვავე კრიტიკით გამოეხმაურნენ აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს

წევრთა ინიციატივას ნათია კაპანაძის იმპიჩმენტის შესახებ. 2019 წლის 30 აპრილს, ნათია კაპანაძემ, მაუწყებლის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, რომლის ფარგლებშიც, მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას, თანამდებობაზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას ითხოვდა. 2022 წლის 6 მაისს, სამწლიანი განხილვის შემდეგ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ჯუმბერ ბეჟანიძემ არ დააკმაყოფილა ტელეკომპანიის ყოფილი დირექტორის სარჩელი.

სისხლისსამართლებრივი დევნის[1] ადრესატი იყო ტელეკომპანია „პირველის“ დამფუძნებლის, ვახტანგ წერეთლის მამა, ავთანდილ წერეთელიც. სასამართლომ ავთანდილ წერეთელი დამნაშავედ ცნო, თუმცა საქმის ხანდაზმულობის არგუმენტით, საპატიმრო სასჯელი არ შეუფარდა. გამოძიების ფარგლებში არაერთხელ გამოიკითხა „ფორმულას“ გენერალური დირექტორი, ზურაბ გუმბარიძეც.

ამასთანავე, 2021 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახლად უვადოდ განწესებულმა მოსამართლეებმა 10-წლიანი თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს[2] დავით კეზერაშვილს, თავდაცვის ყოფილ მინისტრს და „ფორმულას“ დამფუძნებელს ე.წ. „წვრთნების საქმეზე“, რომელზეც ქვედა ინსტანციებს გამამართლებელი განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი. დავით კეზერაშვილს სახელმწიფო სახსრების გაფლანგვას ედავებოდა. მნიშვნელოვანია, რომ საქმის განახლებას წინ უძღოდა 25 ივნისს, პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება: „მე რაც წავედი, მერე გაამართლეთ თქვენ ის. ახლა მიხედავენ, როგორც ჩანს“. საყურადღებოა ისიც, რომ 7 სექტემბერს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ ჰქონდა სამოტივაციო ნაწილი. ეს სახალხო დამცველისთვის მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც მიღებული გადაწყვეტილების გამოთხოვა გადაწყვიტა. „საგულისხმოა და საყურადღებოა, რატომ იღებს ასე დაჩქარებულად გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო, ისე, რომ სამოტივაციო ნაწილზეც არ ჰქონდათ მსჯელობა“ - აღნიშნა მან. კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმის წარმოების პოლიტიზებული მოტივი დაადგინეს საერთაშორისო აქტორებმაც ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართულმა მხარემ თავდაცვის ყოფილი მინისტრის საქართველოში ექსტრადირება ორჯერ მოითხოვა. ამ თხოვნით მათ პირველად საფრანგეთს მიმართეს, ხოლო მეორედ - დიდ ბრიტანეთს. ორივე ქვეყნის სასამართლოებმა ქართულ მხარეს ექსტრადირებაზე უარი უთხრეს, მოტივად კი საქმის პოლიტიკური სარჩული დაასახელეს.

ტელეკომპანიების ხელმძღვანელების წინააღმდეგ მიმართული მართლმსაჯულება, სამართლებრივ დამაჯერებლობას მოკლებული ბრალდებები, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ ტელეკომპანიებთან მიმართებით შერჩევითი რეპრესიული ღონისძიებების გატარება, ნეგატიურად აისახება მედიაგარემოზე და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მმართველი წრეები განსხვავებული აზრის ჩახშობით ცდილობენ საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებასა და ვიწროპარტიული ინტერესების გატარებას.

1 „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარების ფაქტზე, ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება“ (სსკ 25-194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

2 აღნიშნული სასჯელი ამნისტიის შედეგად განახევრდა.

## დასკვნა

დოკუმენტში წარმოდგენილი ფაქტების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში 2021 წელს და 2022 წლის პირველ ნახევარში მედიაგარემო და ჟურნალისტთა პროფესიული ხელშეუხებლობის დაცვის ხარისხი კრიტიკულად გაუარესდა. ხელისუფლების სამივე შტოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები და გამოკვეთილი ტენდენციები, ასევე სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მედიის თავისუფლება სისტემური შეზღუდვის საგანი ხდება. მსგავსი სამართლებრივი და პოლიტიკური ვითარება ხელს უწყობს ჟურნალისტების მიმართ მტრულად განწყობილი, რადიკალური საზოგადოებრივი ჯგუფების გააქტიურებას და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ სოციალური წნეხის გაძლიერებას.

მედიის თავისუფლების დაცვიდან მომდინარე სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება უარყოფით გავლენას ახდენს გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხზე, რაც, თავის მხრივ, აჩენს სამართლიან კითხვებს სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კურსთან დაკავშირებით.